



სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 21 ოქტომბრის
სხდომის ოქმი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

მისამართი: თბილისი ძმები ზუბალაშვილების ქუჩა N11

სხდომის დაწყების დრო: 18:30

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), ციცილო ცხვედიანი, მამუკა ნოზაძე, მარიამ კუბლაშვილი, დათუნა მოდებაძე, გიორგი თევზაძე, ტარიელ კაკაბაძე.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება

აღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ:

(ა) თამუნია სოლოლაშვილის განცხადებას გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულმა პირმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან შესული ცვლილებისა და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების თანახმად, სავალდებულო ადაპტაციის პროგრამის გავლის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებულ გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს თამუნია სოლოლაშვილის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.

(ბ) მირონ ბეჟანიძის განცხადებას გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულმა პირმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან შესული ცვლილებისა და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების თანახმად, სავალდებულო ადაპტაციის პროგრამის გავლის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებულ გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს მირონ ბეჟანიძის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.

(გ) ვახტანგ ბაქაძურის განცხადებას გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულმა პირმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან შესული ცვლილებისა და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების თანახმად, სავალდებულო ადაპტაციის პროგრამის გავლის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებულ გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ვახტანგ ბაქაძურის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.

(დ) დიანა ლემონჯავას განცხადებას გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულმა პირმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან შესული ცვლილებისა და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების თანახმად,

სავალდებულო ადაპტაციის პროგრამის გავლის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებულ გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს დიანა ლემონჯავას განცხადება გაწევრიანების თაობაზე.

(ე) თეონა პაპაშვილის განცხადებას გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულმა პირმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან შესული ცვლილებისა და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების თანახმად, სავალდებულო ადაპტაციის პროგრამის გავლის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებულ გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს თეონა პაპაშვილის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება

წევრები გაეცნენ ხელახალი გაწევრიანებისთვის წარმოდგენილ ნიკოლოზ სამადაშვილის, ალექსანდრე სანდოძის, ნინო კაპანაძის, თეიმურაზ პატარიძის, ქეთინო აბულაშვილის, მარინა ვაშაძის, მარიამ სორდიას, ინდირა სალაძის, კახაბერ კახიანის, დიმიტრი გოგალაძისა და დავით იასაღაშვილის განცხადებებს.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ზემოხსენებული პირების მიერ წარმოდგენილი განცხადება თანდართული საჭირო დოკუმენტებით შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებულ გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ნიკოლოზ

სამადაშვილის, ალექსანდრე სანდოძის, ნინო კაპანაძის, თეიმურაზ პატარიძის, ქეთინო აბულაშვილის, მარინა ვაშაძის, მარიამ სორდიას, ინდირა სალაძის, კახაბერ კახიანის, დიმიტრი გოგალაძის და დავით იასალაშვილის მიერ ხელახლა გაწვევრიანებისთვის წარმოდგენილი განცხადებები.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა

წევრები გაეცნენ შემდეგ პირთა განცხადებებს პირადი განცხადების საფუძველზე წევრობის შეჩერების შესახებ: ლევან ქოროლიშვილი, არჩილ შარვაშიძე, ბესიკ კობერიძე, ნინო ბაფხოშვილი, ვალერიანე დოლიძე, ლევან შალამბერიძე, ზურაბ კიპაროძე, თეონა ქავთარაძე, ნინი კარანაძე, ანი რუხაძე, სერგო ფარეიშვილი, სალომე ხოზრევანიძე, ვახტანგ ბაქაქური, დიანა ლემონჯავა, გიორგი ბეჟანიშვილი, მაია გიგინეიშვილი.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს არ გააჩნიათ საწევრო დავალიანება.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ლევან ქოროლიშვილის, არჩილ შარვაშიძის, ბესიკ კობერიძის, ნინო ბაფხოშვილის, ვალერიანე დოლიძის, ლევან შალამბერიძის, ზურაბ კიპაროძის, თეონა ქავთარაძის, ნინი კარანაძის, ანი რუხაძის, სერგო ფარეიშვილის, სალომე ხოზრევანიძის, ვახტანგ ბაქაქურის, დიანა ლემონჯავას, გიორგი ბეჟანიშვილის, მაია გიგინეიშვილის განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ.

საკითხი 4. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილების თანახმად, 2019 წლის 1 ოქტომბრამდე საწევრო გადაუხდელ პირთა მიმართ 02.07.2019 წელს გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გავრცელება და „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21³ მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, წევრობის შეწყვეტაზე გადაწყვეტილების მიღება

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილების თანახმად, 2019 წლის 1 ოქტომბრამდე საწევრო გადაუხდელ პირთა რაოდენობამ დღევანდელი მდგომარეობით შეადგინა 65.

თავმჯდომარემ განმარტა, რომ რადგან შემცირებულია დავალიანების მქონე პირთა რაოდენობა, მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ საწევრო დავალიანების მქონე პირებს კიდევ ერთხელ მიეცეთ დამატებითი ვადა დავალიანების გადასახდელად - 2019 წლის 15 ნოემბრამდე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

(ა) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილების თანახმად, 2019 წლის 1 ოქტომბრამდე საწევრო გადაუხდელი პირებისთვის საწევრო დავალიანების გადახდის საბოლოო ვადად განისაზღვროს არაუგვიანეს 2019 წლის 15 ნოემბრის, 18:00 საათი;

(ბ) წევრებს, რომელთაც აღმასრულებელი საბჭოს 21.10.2019 წლის გადაწყვეტილებით 2019 წლის 15 ნოემბრამდე გადაუვადდათ საწევრო დავალიანების გადახდის ვადა, ეცნობოთ, რომ განსაზღვრულ ვადაში საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, მათზე გავრცელდება 02.07.2019 წელს გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21³ მუხლის პირველი პუნქტის “ზ” ქვეპუნქტის თანახმად, შეუწყდებათ ასოციაციის წევრობა;

(გ) აღნიშნულ პირებს ეცნობოთ მიღებული გადაწყვეტილებისა და გადავადებულ ვადაში საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შედეგების თაობაზე.

საკითხი 5. საწევრო გადასახადის გადავადების თაობაზე საწევრო დავალიანების მქონე პირთა განცხადებების განხილვა

წევრები გაეცნენ საწევრო დავალიანების მქონე შემდეგ პირთა: კახაბერ იოსელიანი, ირაკლი გაფრინდაშვილი, რუსუდან კვინიკაძე, მამუკა ლომიძე, დავით ჩალაძე, მაიზერ ბაბლუანი, სულხან ხმალაძე, ვლადიმერ ნორაკიძე, დარეჯან მამულაშვილი განცხადებებს, საწევრო დავალიანების გადახდის ვადის გადავადების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: აღნიშნული საკითხი განხილულ იქნას აღმასრულებელი საბჭოს მომდევნო სხდომაზე.

საკითხი 6. ასოციაციის ინსტიტუციურ გაძლიერებაში შეტანილი წვლილისთვის ოფიციალურ საზეიმო მიღებაზე გადასაცემი სპეციალური ჯილდოების გადაცემის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, ქართული ადვოკატურის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ოფიციალურ საზეიმო მიღებაზე, რომელიც გაიმართება მიმდინარე წლის 8 ნოემბერს, მიზანშეწონილია დაჯილდოვდნენ იმ ინსტიტუციების წარმომადგენლები რომლებსაც ქართული იურიდიული პროფესიის გაძლიერებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით, ასეთები არიან: ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოვალეობის შემსრულებელი, ევროკავშირის ელჩი საქართველოში, ევროსაბჭოს ელჩი საქართველოში, ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი, USAID მისიის დირექტორი საქართველოში, საქართველოს ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის რექტორი, თბილისის ღია უნივერსიტეტის რექტორი და ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე 2009-2017 წლებში.

ასევე, მნიშვნელოვანია, აღნიშნოს უცხოელი პარტნიორების: ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საზოგადოებების საბჭოს (CCBE) და ევროპის ადვოკატთა ასოციაციის (AEA-EAL) პრეზიდენტის განსაკუთრებული წვლილი ადვოკატთა ასოციაციის აქტიური მხარდაჭერისთვის ევროპულ და საერთაშორისო პროფესიულ გაერთიანებებში ინტეგრაციისა და ქართული ადვოკატურის ინტერესების წარმოდგენისა და დაცვის მიმართულებით.

აღნიშნული საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე. ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებულ შემდეგი გადაწყვეტილება: ქართული იურიდიული პროფესიის გაძლიერებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ადვოკატთა ასოციაციის სპეციალური ჯილდოთი დაჯილდოვდნენ - ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოვალეობის შემსრულებელი, ევროპის კავშირის ელჩი საქართველოში, ევროპის საბჭოს ელჩი საქართველოში, ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი, USAID მისიის დირექტორი საქართველოში, საქართველოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის რექტორი, თბილისის ღია უნივერსიტეტის რექტორი, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე 2009-2017 წლებში, ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საზოგადოებების საბჭოს (CCBE) პრეზიდენტი, CCBE-ის PECO კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი და ევროპის ადვოკატთა ასოციაციის (AEA-EAL) პრეზიდენტი.

საკითხი 7. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების დამტკიცება

წევრები გაეცნენ ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა დამატებით სიას.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა სია სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი N1).

საკითხი 8. აკრედიტაციის მინიჭების შესახებ განცხადებების განხილვა

წევრები გაეცნენ ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ (EMC) განცხადებას აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, საგანმანათლებლო ღონისძიების თემა: ტრენინგი სისხლის სამართლის ადვოკატებისთვის „მოქმედი ნარკოპოლიტიკა და ადამიანის უფლებები“.

წევრებმა განაცხადეს, რომ განაცხადი არის ხარვეზიანი, ბუნდოვანია ღონისძიების ჩატარების თარიღი, ასევე, არ არის წარმოდგენილი ტრენერთა ბიოგრაფიები, ამდენად, მიზანშეწონილია, დაევალოს აპარატს საკითხის სრულყოფილად მომზადება და გადაიდოს მისი განხილვა მომდევნო სხდომისთვის.

საკითხი 9. ადვოკატ ლაშა გოგიბერიძის განცხადების განხილვა

წევრები გაეცნენ ლაშა გოგიბერიძის 2019 წლის 17 სექტემბრის განცხადებას, რომელშიც ითხოვდა წარმოდგენილი საგანმანათლებლო ღონისძიებების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატების საფუძველზე, 2019 წლის განგრძობადი იურიდიული განათლების პროგრამის ფარგლებში შესაბამისი რაოდენობის კრედიტ-საათების მინიჭებას.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის განგრძობადი იურიდიული განათლების შეღავათების სისტემის მე-9 მუხლის, 9.1 პუნქტის თანახმად, გარკვეული შეღავათი ვრცელდება ადვოკატებზე, რომელთაც მიმდინარე წლის განმავლობაში მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო კონფერენციებში და წარმოდგენილი აქვთ ასეთი ტიპის ღონისძიებაში მონაწილეობის დამადასტურებელი საბუთი.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განგრძობადი იურიდიული განათლების შეღავათების სისტემის მე-9 მუხლის, 9.2 პუნქტის თანახმად, საგანმანათლებლო საბჭომ განიხილა აღნიშნული საკითხი და მიიღო დადებითი გადაწყვეტილება.

ლაშა გოგიბერიძის მიერ წარმოდგენილია ამერიკის შეერთებულ შტატებში ნიუ-იორკის ადვოკატთა ასოციაციის განგრძობადი იურიდიული განათლების საბჭოს მიერ გაცემული სერტიფიკატები, რომლებითაც დასტურდება, რომ 2019 წელს იგი დაესწრო ნიუ-იორკის ადვოკატთა ასოციაციის განგრძობადი იურიდიული განათლების პროგრამით განსაზღვრულ სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებას.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

(ა) დაკმაყოფილდეს ლაშა გოგიბერიძის 2019 წლის 17 სექტემბრის განცხადება, მის მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო ღონისძიებების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატების საფუძველზე, 2019 წლის განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში, შესაბამისი რაოდენობის კრედიტ-საათების მინიჭების თაობაზე;

(ბ) ლაშა გოგიბერიძეს დაგროვებულად ჩაეთვალოს განგრძობადი იურიდიული განათლების პროგრამის ფარგლებში 2019 წლისთვის განსაზღვრული სავალდებულო კრედიტ-საათები.

საკითხი 10. ადვოკატ მანანა გრიგოლიას განცხადების განხილვა

წევრები გაეცნენ მანანა გრიგოლიას 2019 წლის 23 ივლისის განცხადებას, საპენსიო ასაკის და ფიზიკურ გადაადგილებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, 2019 წლისთვის განსაზღვრული სავალდებულო კრედიტ-საათების დაგროვების ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის განგრძობადი იურიდიული განათლების შეღავათების სისტემის მე-9 მუხლის, 9.1 პუნქტის თანახმად, გარკვეული შეღავათი ვრცელდება ადვოკატებზე, რომელთაც განსაკუთრებული მიზეზის არსებობის გამო, განცხადებით მომართეს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრს.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განგრძობადი იურიდიული განათლების შეღავათების სისტემის მე-9 მუხლის, 9.2 პუნქტის თანახმად, საგანმანათლებლო საბჭომ განიხილა აღნიშნული საკითხი და მიიღო დადებითი გადაწყვეტილება.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს მანანა გრიგოლიას 2019 წლის 23 ივლისის განცხადება, საპენსიო ასაკის და ფიზიკურ გადაადგილებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, განგრძობადი იურიდიული განათლების პროგრამის ფარგლებში 2019 წლისთვის განსაზღვრული სავალდებულო კრედიტ-საათების დაგროვების ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ.

საკითხი 11. მარიამ ჯვარშიშვილის განცხადების განხილვა

წევრები გაეცნენ მარიამ ჯვარშიშვილის 2019 წლის 4 ოქტომბრის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მიმდინარე წლის 27 სექტემბერს იგი დარეგისტრირდა 2019 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდაზე, თუმცა იმის გამო, რომ მას არ ჰქონდა შესაძლებლობა რეგისტრაციის მიმდინარეობის განმავლობაში, დისტანციურ რეჟიმში გადაემოწმებინა ინფორმაცია რეგისტრაციის წარმატებით გავლის თაობაზე და აღმოჩნდა, რომ რეგისტრაცია დახარვეზდა შეცდომით ატვირთული დოკუმენტის (2018 წლის ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის დამადასტურებელი ქვითარი) გამო. აღნიშნულ განცხადებაში ითხოვდა მიმდინარე წლის 26 სექტემბერს 2019 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციისთვის გადახდილი საფასურის (190 ლარი) დაბრუნებას.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს მარიამ ჯვარშიშვილის 2019 წლის 4 ოქტომბრის განცხადება 2019 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციისთვის გადახდილი საფასურის (190 ლარი) დაბრუნების თაობაზე.

საკითხი 12. ადვოკატ ნატო გოგმაჩაძის განცხადების განხილვა

წევრები გაეცნენ ადვოკატ ნატო გოგმაჩაძის 2019 წლის 20 სექტემბრის განცხადებას, ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატის უფლებათა დაცვის აჭარის რეგიონული კომიტეტის წევრობის შეწყვეტის თაობაზე.

წევრებმა განაცხადეს, რომ ადვოკატის უფლებათა დაცვის კომიტეტის დებულების მე-4 მუხლის, 4.6 მუხლის თანახმად, კომიტეტის წევრი შეიძლება ვადამდე იქნას გაწვეული კომიტეტის შემადგენლობიდან აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ნატო გოგმაჩაძის 2019 წლის 20 სექტემბრის განცხადება, ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატის უფლებათა დაცვის აჭარის რეგიონული კომიტეტის წევრობის შეწყვეტის თაობაზე.

საკითხი 13. ადვოკატ შალვა ფეზუაშვილის განცხადების განხილვა

წევრები გაეცნენ ადვოკატ შალვა ფეზუაშვილის 2019 წლის 27 სექტემბრის განცხადებას ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს შალვა ფეზუაშვილის 2019 წლის 27 სექტემბრის განცხადება ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტში გაწვევრიანების თაობაზე.

საკითხი 14. ადვოკატთა ასოციაციის აჭარის სისხლის სამართლის რეგიონული კომიტეტის შემადგენლობის ცვლილების საკითხი

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, აჭარის სისხლის სამართლის რეგიონული კომიტეტის დებულებით განსაზღვრული ფუნქციებისა თაობაზე და განმარტა, რომ აღნიშნული დებულების მე-9 მუხლის თანახმად, კომიტეტი ანგარიშვალდებულია აღმასრულებელი საბჭოს წინაშე წარმოადგინოს კვარტლური წერილობითი საქმიანობის ანგარიში, რაც დღემდე არ განხორციელებულა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მსჯელობის შედეგად წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ მიზანშეწონილია აღმასრულებელმა საბჭომ გამოიყენოს სისხლის სამართლის კომიტეტის დებულების მე-4 მუხლის, 4.8 პუნქტის თანახმად მინიჭებული უფლებამოსილება კომიტეტის თავმჯდომარის და თანა თავმჯდომარისთვის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის თაობაზე და გამოაცხადოს კომიტეტის რეორგანიზაცია მისი შემადგენლობის ხელახლა დაკომპლექტების მიზნით.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აჭარის სისხლის სამართლის რეგიონული კომიტეტის დებულების მე-4 მუხლის, 4.8 პუნქტის თანახმად შეუწყდეთ უფლებამოსილება აჭარის სისხლის სამართლის რეგიონული კომიტეტის წევრებს და გამოცხადდეს განცხადებების მიღება აღნიშნული კომიტეტის შემადგენლობის ხელახლა დაკომპლექტების მიზნით.

საკითხი 15. ადვოკატთა ასოციაციის მედიაციის და არბიტრაჟის განვითარების კომიტეტის თავმჯდომარის მიმართვის გაცნობა

წევრები გაეცნენ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მედიაციის და არბიტრაჟის განვითარების კომიტეტის თავმჯდომარის სალომე ბეჟაშვილის 2019 წლის 18 სექტემბრის მიმართვას, კომიტეტის თანათავმჯდომარის პოზიციაზე თინათინ გუგუნავას კანდიდატურის წარდგენის თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ადვოკატთა ასოციაციის მედიაციის და არბიტრაჟის განვითარების კომიტეტის თავმჯდომარის სალომე ბეჟაშვილის 2019 წლის 18 სექტემბრის მიმართვა, კომიტეტის თანათავმჯდომარის პოზიციაზე თინათინ გუგუნავას კანდიდატურის წარდგენის თაობაზე და კომიტეტის დებულების მე-4 მუხლის, 4.2 პუნქტის თანახმად, კომიტეტის თანათავმჯდომარის პოზიციაზე დამტკიცდეს თინათინ გუგუნავას კანდიდატურა.

საკითხი 16. ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა უფლებების დაცვის იმერეთის რეგიონული კომიტეტის თავმჯდომარის მიმართვა

წევრები გაეცნენ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა უფლებების დაცვის იმერეთის რეგიონული კომიტეტის თავმჯდომარის 2019 წლის 17 სექტემბრის მომართვას აღნიშნულ კომიტეტში ადვოკატ ფიქრია ცერცვაძის გაწევრიანების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა უფლებების დაცვის იმერეთის რეგიონული კომიტეტის თავმჯდომარის 2019 წლის 17 სექტემბრის მომართვა ადვოკატ ფიქრია ცერცვაძის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 17. სხვადასხვა

წევრები გაეცნენ ლიანა მშვიდლობაძის 2019 წლის 27 სექტემბრის განცხადებას, რომელშიც მითითებული იყო, რომ 2008 წლის 21 მაისს მან ჩააბარა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით. 2008 წლიდან იგი ეწეოდა საადვოკატო საქმიანობას სამოქალაქო საქმეებზე პირველი ინსტანციის სასამართლოში და აღნიშნული სერტიფიკატის საფუძველზე ითხოვდა საერთო სპეციალიზაციის მინიჭებას.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ლიანა მშვიდლობაძე 2007 წლიდან ირიცხებოდა ასოციაციის წევრად სისხლის სამართლის სპეციალიზაციით. მას პირადი განცხადების საფუძველზე 2011 წელს შეუჩერდა ასოციაციის წევრობა, რომელიც აღიდგინა 2019 წლის 27 სექტემბერს.

წევრებმა განაცხადეს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის, მე-11 პუნქტის თანახმად, ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი (სერტიფიკატი) ძალას კარგავს, თუ პირი აღნიშნული გამოცდის ჩაბარებიდან 10 წლის განმავლობაში არ დაიწყებს საადვოკატო საქმიანობას. განმცხადებელმა კი საადვოკატო საქმიანობა დაიწყო 2007 წლიდან, მას შემდეგ რაც გაწევრიანდა ადვოკატთა ასოციაციაში კანონით დადგენილი წესით.

განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა დათუნა მოდებაძემ, რომელმაც განაცხადა, რომ იგი არ ეთანხმება სხდომაზე დაფიქსირებულ პოზიციას და თვლის, რომ სწორედ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის, მე-11 პუნქტით დადგენილი მოთხოვნა უნდა გავრცელდეს ლიანა მშვიდლობაძის მიერ წარმოდგენილ 2008 წლის 21 მაისს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელ სერტიფიკატზე, რადგან განცხადების ავტორი ასოციაციაში გაწევრიანდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით და ზემოთაღნიშნული კანონით დადგენილ 10 წლის ვადაში ასოციაციაში არ წარმოუდგენია სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი. შესაბამისად, მას არ შეუცვლია სპეციალიზაცია და არ განუხორციელებია საადვოკატო საქმიანობა სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით, შესაბამისად მიიჩნევს, რომ განმცხადებლის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად (მომხრე 6 - დავით ასათიანი, ციციანო ცხვედიანი, მამუკა ნოზაძე, მარიამ კუბლაშვილი, გიორგი თევზაძე, ტარიელ კაკაბაძე წინააღმდეგი 1 - დათუნა

მოდებაძე) მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ლიანა შშვიდობაძის მიერ 2019 წლის 27 სექტემბერს წარმოდგენილი განცხადება თანდართული 2008 წლის 21 მაისს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატის საფუძველზე, საერთო სპეციალიზაციის მინიჭების შესახებ.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე